



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 568
20/03/2018

ქალაქი ბათუმი

568-05-4-201803201438



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილების თანახმად **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მატერილური - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ნუგზარ გორგილაძე.

2. დაევალოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა